კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან** ერთად აცხადებს მიღებას კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამაზე.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მონაწილეები გაიღრმავებენ ცოდნას ანტიკორუფციულ თემატიკასთან დაკავშირებით და შეიძენენ კორუფციის ფაქტებზე ეფექტური რეაგირების უნარ-ჩვევებს.

ვისთვის არის განკუთვნილი პროგრამა?

პროგრამა განკუთვნილია საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდეტებისთვის, საჯარო, კერძო და არასამათავ-რობო სექტორში დასაქმებული პირებისთვის.

პროგრამის აღწერა, სასწავლო გეგმა და ტრენერები

კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა არის საერთაშორისო **პროგრამის** ნაწილი. სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში ტრენერები იქნებიან როგორც ქართველი პრაქტიკოსი ლექტორები, ასევე მომხსენებლის სტატუსით ჩაერთვებიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

სასწავლო კურსი 8 მოდულისგან შედგება და ფარავს შემდეგ თემებს:

I. ძირითადი იდეები, კონცეფციები, თეორიები & სოციალურ მეცნიერებათა პერსპექტი-ვები კორუფციის შესახებ (პოლიტიკური მეცნიერება, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია);

II. კორუფციის სამართლებრივი მხარე;

III. ანტიკორუფციული პოლიტიკა საჯარო დაწესებულებებში, ბიზნეს & არასამთავრობო სექტორებში, კერძო კორუფცია;

IV. კარგი მმართველობა;

V. ელ-მმართველობა კორუფციასთან ბრძოლაში;

VI. კორუფცია და პოლიტიკა;

VII. როგორ მიაღწიეს წარმატებას კორუფციასთან ბრძოლის კუთხით სხვადასხვა ქვეყნებში;

VIII. თანამედროვე მამხილებლობა და კორუფციის ჟურნალისტური გამოძიება.

მოდული I: ძირითადი იდეები, კონცეფციები, თეორიები & სოციალურ მეცნიერებათა პერსპექტივები კორუფციის შესახებ

ტრენერი: გიორგი ჩხეიძე

ადამიანის უფლებათა იურისტი. ადამიანი უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (LLM). არის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID-PROLOG) პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი და თავმჯდომარე. 2009 წელს გიორგი ჩხეიძე გახლდათ საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე; მანამდე იგი გახლდათ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, საქართველოს პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი. გიორგი ჩხეიძემ დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურა დაამთავრა აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში (ბრისტოლი, დიდი ბრიტანეთი). გიორგი ჩხეიძე მონაწილეობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფში.

მოდული II: კორუფციის სამართლებრივი მხარე

ტრენერი: ზურაბ სანიკიძე

ზურაბ სანიკიძე პროფესიით იურისტია. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მაგისტრატურა საერთაშორისო საჯარო სამართლის და ადამიანის უფლებების სპეციალობით დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ასევე წარმატებით დაამთავრა მეორე მაგისტრატურა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტში. წარმატებით გაიარა მენეჯმენტისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროგრამა ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში. 2014 წლიდან 2019 წლამდე იყო იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი. ამჟამად იგი იკავებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობას.

ზურაბ სანიკიძე, ex officio, არის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს მდივანი; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი; ღია მმართველობა პარტნიორობის (OGP) ფორუმის თავმჯდომარე; საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი საერთაშორისო ორგანიზაციებში (GRECO, OECD/ACN); საქართველოს წარმომადგენელი/კოორდინატორი აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველ პლატფორმაზე; საქართველოს წარმომადგენელი/ექსპერტი გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის ოფისში (UNODC), გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) შეფასების ნაწილში; იუსტიციის მინისტრთან ერთად საქართველოს წარმომადგენელი OGP-ის კომიტეტებში და სხვ.

მოდული III: ანტიკორუფციული პოლიტიკა საჯარო დაწესებულებებში, ბიზნეს & არასამთავრობო სექტორებში

ტრენერი: თათა ხეთაგური

2010–2012 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), თბილისი, საქართველო. ეკონომიკის მაგისტრი. 2006–2010 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო. ბიზნესის მართვის ბაკალავრი.

2016 წლიდან - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი 2014-2016 - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ბიუჯეტის ანალიზის განყოფილების უფროსი/საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2016 წლიდან - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი (სასწავლო კურსი: ფისკალური ეკონომიკა) 2015 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მიწვეული ლექტორი (სასწავლო კურსი: მენეჯერული ეკონომიკა) 2012-2014 - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის აუდიტორასისტენტი, აუდიტორი, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის სამსახურის უფროსი. 2010-2012 - საგანმანათლებლო სააგენტო „ი ელ ელ“. განათლების მენეჯერი/მათემატიკის მასწავლებელი (SAT, GMAT, GCSE, A-LEVELS პროგრამები).

მოდული IV: კარგი მმართველობა

ტრენერი: ლევან ავალიშვილი

ლევან ავალიშვილი არის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) პროგრამების დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. ლევანს აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. მას ჩატარებული აქვს დიდი რაოდენობით ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: ინფორმაციის თავისუფლება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული მმართველობა, კარგი მმართველობა, ღია მონაცემები, ელექტრონული მმართველობის სტრატეგიების ფორმულირება და ა.შ. ლევანს მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს იმ საჯარო მოხელეებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების გადამზადებაში, რომლებიც მუშაობენ ეროვნულ და/ან საჯარო ხელისუფლებასთან, ევროკავშირის სტრუქტურებთან (EC, EPO) და USAID-ის მიერ დაფინანსებულ დაწესებულებებთან. ლევანი ასევე არის საბჭოთა კავშირის ისტორიის მკვლევარი და ამ თემაზე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

იგი არის ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის წევრი; ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საბჭოს წევრი.

მოდული V: ელ-მმართველობა კორუფციასთან ბრძოლაში

ტრენერი: ნატა გოდერძიშვილი

ნატა გოდერძიშვილი არის სამართლისა და საჯარო პოლიტიკის თითქმის 15 წლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი; ნატა ფლობს სამართალმცოდნეობის მაგისტრის ხარისხს და არის ერთადერთი ქართველი იურისტი, რომელსაც გააჩნია SANS ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სამართლის საერთაშორისო სერტიფიკატი.

ნატამ სამსახურებრივი კარიერა კერძო სექტორიდან დაიწყო და იუსტიციის სამინისტროში უცხო ქვეყნების საარბიტრაჟო სასამართლოებში ქვეყნის წარმომადგენლად გააგრძელა, უფრო მოგვიანებით კი USAID და სართაშორისო კომპანიებში (PwC და Chemonics) საქმიანობდა იურიდიული მიმართულებით, ამჟამად მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიულ და საერთაშორისო მიმართულებებს ხელმძღვანელობს. ნატას აქტიური მონაწილეობით შემუშავდა ელ-მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი ბაზა და ასევე ერთიანი ეროვნული სტრატეგიული ჩარჩო - მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტები ელ-მმართველობისა & კიბერუსაფრთხოების სფეროებში. ნატას ჩართულობით საქართველომ დაამყარა მჭიდრო ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობითი ურთიერთობები ელ-მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სფეროებში არაერთ პარტნიორ ქვეყანასთან.

მოდული VI: კორუფცია და პოლიტიკა

ტრენერი: ლევან ნატროშვილი

ლევან ნატროშვილი პროფესიით საერთაშორისო პოლიტ-ეკონომისტია. 2011 წელს მან დაამთავრა კენტუკის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ვაჭრობის სამაგისტრო სკოლა. ამჟამად იგი არის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი. ლევანი 2012 წლიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროგრამების მენეჯერია. ბოლო ექვს საერთო ეროვნულ არჩევნებზე იგი ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებს. მისი ძირითადი სპეციალიზაცია საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, პოლიტიკური ფინანსები და პოლიტიკური კორუფციაა. ლევანი არის ათეულობით ანგარიშისა და კვლევის თანაავტორი და რედაქტორი. საქართველოსა და უცხოეთში ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტებისთვის მას ჩატარებული აქვს არაერთი ტრენინგი საარჩევნო თემებზე. ლევანს სხვადასხვა დროს, ასევე, ნამუშევარი აქვს ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტსა (NDI) და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში. გარდა ამისა, ლევანი არის მოწვეული ლექტორი საქართველოს ორ უნივერსიტეტში, სადაც საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე რამდენიმე საგანში კითხულობს ლექციებს.



მოდული VII: როგორ მიაღწიეს წარმატებას სხვადასხვა ქვეყნებში

ტრენერი: გიორგი ხიშტოვანი

გიორგი ხიშტოვანი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი და ფინანსების მიმართულების ხელმძღვანელი. ამავდროულად, გიორგი არის PMC კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და PMC კვლევით ცენტრში საქმიანობის დაწყებამდე, გიორგი 2009-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობაზე, 2011-2014 წლებში იგი იყო ბრემენის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, 2015-2016 წლებში გიორგი იყო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევითი დირექტორი, ხოლო 2015-2017 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამებისა და გრანტების დირექტორად და იყო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. გიორგი ხიშტოვანი ბრემენში, ტრიერში, ლუნებურგსა და თბილისში სწავლობდა ეკონომიკისა და სამართალს. მას აქვს ტრიერის უნივერსიტეტის (გერმანია) სამართლის მაგისტრის ხარისხის დიპლომი (LL.M.), ტრიერის უნივერსიტეტის (გერმანია) ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებითა მაგისტრის ხარისხის დიპლომი (MSc) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის და სამართლის ბაკალავრის დიპლომი. გიორგი ფლობს ბრემენის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტორის აკადემიურ ხარისხს ეკონომიკაში. მისი სადისერტაციო ნაშრომი ეხება 2003-2012 წლებში მმართველობის სტრუქტურების ტრანსფორმაციას საქართველოში.

მოდული VIII: თანამედროვე ვისლბლოუინგი & კორუფციის ჟურნალისტური გამოძიება

ტრენერი: ეკატერინე ციმაკურიძე

ეკატერინე ციმაკურიძე პროფესიით იურისტია. 2013 წელს მას მიენიჭა ჩრდილოეთ ოჰაიოს უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართლის უზენაესობასა და დემოკრატიულ მართვაში. 2014-2019 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ხელმძღვანელობდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის და ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამას. 2013-2014 წლებში იყო საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის კოორდინატორი. ეკას აქვს არასამთავრობო სექტორში და საჯარო უწყებებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. სხვადასხვა დროს იყო მოსამართლის თანაშემწე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და სხვა. ის არის რამდენიმე კვლევის ავტორი მედიის, სასამართლოს, პროკურატურის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საკითხებზე. ეკას არაერთი პროფესიული ტრენინგი აქვს ჩატარებული ჟურნალისტებისა და იურისტებისთვის მედიის და გამოხატვის თავისუფლების, შრომითი უფლებების, სასამართლოს დამუკიდებლობის და სხვა საკითხებზე. არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიის გაძლიერებას და ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში.

სწავლის ხანგრძლივობა:

სრული კურსის ხანგრძლივობაა ორი სემესტრი (7 ოქტომბერი, 2019 - 16 ივნისი, 2020). თითო მოდულის ხანგრძლივობაა 3 კვირა (12 საათი/6 ლექცია).

ლექციები ჩატარდება კვირაში ორჯერ (სამშაბათს და ხუთშაბათს), საღამოობით 19:00-დან 21:00-მდე, **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

სწავლების ენა:

ქართული (მასალების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ქართულად და ინგლისურად).

სწავლა მიმდინარეობს ინტერაქტიულ რეჟიმში და მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ნაზავს. მონაწილეები იმუშავებენ პრაქტიკულ შემთხვევებზე, მონაწილეობას მიიღებენ საკითხების განხილვებში და მოამზადებენ ესეებს.

სერტიფიკატი

- თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ გაიცემა მოდულის დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატი.
- პროგრამის მონაწილე, რომელიც 8 მოდულიდან მინიმუმ 6 მოდულს დაესწრება, მიიღებს სრული კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
- მონაწილეების მიერ მომზადებული 10 საუკეთესო ესე, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, გამოქვეყნდება/გავრცელდება ილიას უნივერსიტეტის და IDFI-ის ვებგვერდებსა და სოციალურ გვერდებზე (Facebook და Twitter).
- პროგრამის 2 საუკეთესო მსმენელი 3 თვის განმავლობაში სტაჟირებას გაივლის IDFI-ში.

კურსდამთავრებულების ქსელი

პროგრამის დასასრულს შეიქმნება კურსდამთავრებულთა ქსელი (ე.წ. Alumni Network), რომელიც გააერთიანებს პროგრამის მონაწილეებს, დააკავშირებს მათ ანალოგიური პროგრამის უცხოელ კურსდამთავრებულებს და დაგეგმავს საერთო კვლევებს, გაცვლით პროგრამებს და სხვა შესაბამის აქტივობებს.

პროგრამაში რეგისტრაციისთვის

დაინტერესებულმა პირებმა (სტუდენტები; საჯარო სამსახურის, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები) 2019 წლის 25 სექტემბრამდე უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე შემდეგ ელ-ფოსტაზე:

corruptionhunters@idfi.ge

პროგრამის მონაწილეები საწყის ეტაპზე შეირჩევიან განაცხადის საფუძველზე.

მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას. გასაუბრების დროს შეფასდება მონაწილეთა მზაობა, რათა ბოლომდე შეასრულონ პროგრამის მიერ წაყენებული მოთხოვნები.

შერჩეულ მონაწილეებს სრულად დაუფინანსდებათ სწავლის საფასური

შერჩევის კრიტერიუმები:

პროგრამის მონაწილეების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით. შერჩეული კანდიდატების პროგრამაში მონაწილეობის საფასურს სრულად დაფარავენ პარტნიორი ორგანიზაციები.

- მოტივაცია;
- კომუნიკაბელურობა;
- გუნდური მუშაობის და პრეზენტაციის უნარი;
- სასურველია ინგლისური ენის საშუალო (Intermediate Level) დონეზე ცოდნა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

დავით მაისურაძე - კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის მენეჯერი

577 11 45 22 corruptionhunters@idfi.ge და/ან d.maisuradze@idfi.ge

ინიციატივის ფინანსური მხარდამჭერია ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდი (OSI).

პროგრამა ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) თანადაფინანსებით.